პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 14 იანვარი, 1943 წ. № 11 (6636). ფასი 20 კაპ.

## ბოლშევიკურად გავანაღლოთ სოცშეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი

სრულიად-საკავშირო სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომელიც გასული წლის მაისიდან გრძელდება, ფართოდ მოიცვა საბჭოთა საქართველოს მთელი სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. ამ შეჯიბრებაში დაწინაურდა მრავალი ჩვენი ფაბრიკა-ქარხანა, მაღარო, სარეწაო, რომლებიც სახელოვნად ასრულებენ საწარმოო დავალებებს და ქვეყანას, ფრონტს გემის გადამეტებით აძლევენ მეტ პროდუქციას, საომარ მასალას, სურსათ-სანოვაგეს. ომიანობის დღეებში სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა ზურგის განმტკიცების მძლავრი ბერკეტი გახდა.

შრომის ფრონტის მუშაკები, აღფრთოვანებულნი ხალხთა საყვარელი ბელადის — ამხანაგ სტალინის საოქტომბრო მოხსენებითა და ჩვენი ჯარების წარმატებითი შეტევით, კიდევ უფრო მეტ თავდადებას გვიჩვენებენ და ყოველდღიურად აძლიერებენ ფრონტისადმი, გმირი წითელი არმიისადმი დახმარებას.

მოლოტოვის სახელობის № 172 საარტილერიო ქარხნის კოლექტივის მოწოდებამ წითელი არმიის XXV წლისთავის აღსანიშნავად სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შესახებ საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებს შორის შრომითი ენტუზიაზმის ახალი აზვირთება გამოიწვია. ახალი წლის პირველი დღეებიდანვე მოლოტოველთა მოწოდების პასუხად ახალი ძალით გაჩაღდა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება. მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივებმა, ცალკეულმა სტახანოველებმა წითელი არმიის სახელოვანი XXV წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის კონკრეტული ვალდებულებები აიკისრეს. ამ ახალი ვალდებულებებით მათ ერთხელ კიდევ მკაფიოდ გამოხატეს თავიანთი ერთგულება და სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი, დიდი სტალინისადმი. მთა გამოხატეს შეურიგებელი სიძულვილი გერმანიის ბირსისხლიანი ფაშიზმისადმი.

სტალინის სახელობის კოლონაში ჩაბმულმა თბილისის ელმავლის დეპოს მოწინავე ბრიგადებმა მოლოტოველთა პატრიოტული მოწოდების პასუხად იკისრეს იმუშაონ უწუნოდ, უავარიოდ და 5 პროცენტით გაზარდონ ელმავლების ტექნიკური სიჩქარე, ამასთან ლენინური მეთოდების ღრმად დანერგვით დაზოგონ ელექტროენერგია, 285 ათას კილომეტრამდე გაზარდონ ელმავლის აწევითი შეკეთებათაშორის გარბენა. იმ მოწინავე ქარხნის კოლექტივმა, რომლის დირექტორია ამხ. მელაძე, იკისრა: 23 თებერვლისათვის გემის გადამეტებით გამოუშვას საერთო პროდუქცია 10 პროცენტით და თავდაცვითი პროდუქცია 15 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაზარდოს სულ მცირე 5 პროცენტით, მოამზადოს 15 ახალგაზრდა ხარატი. თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა-ზოსამსახურეებმა ვალდებულება აიღეს იანვარსა და თებერვალში სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცენ 50.000 მეტრი აბრეშუმის ქსოვილი. ჭიათურელი მაღაროელები თავდადებით მუშაობენ, რათა ახალი გამარჯვებებით შეხვდნენ სახელოვანი წითელი არმიის XXV წლისთავს. მოლოტოვის სახელობის № 172 ქარხნის კოლექტივის მოწოდების პასუხად მარგანტრესტის მთავარი მექანიკური სახელოსნოს ხარატები გ. ჩუბინიძე, შ. ბუაძე, ი. კაპანაძე, ზეინკალი თამარ ლაბაძე ყოველდღიურ გეგმებს 300-400 პროცენტით ასრულებენ. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს მოწინავე მნგრეველები გეგმის გადამეტებით იძლევიან მარგანეცს. ახალი ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე მსუბუქი და კვების მრეწველობის ფაბრიკა-ქარხნებმა.

ჩვენი საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკების, პარტიული, კომკავშირული და პროფესიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ახალ აზვირთებას და უზრუნველჰყონ მოლოტოველთა მოწოდების პასუხად ნაკისრ ვალდებულებათა ბოლშევიკურად შესრულება. ისინი მოწოდებული არიან ისე წარმართონ საქმიანობა, რომ ყველა საამქრო, ბრიგადა, აგრეგატი, ყველა მუშა თვის დასაწყისიდანვე ასრულებდეს საწარმოო გეგმას, რათა ადგილი არ ექნეს იერიშობანას. ისინი მოწოდებული არიან ფართოდ დანერგონ მოწინავეთა გამოცდილება, მაქსიმალურად გამოიყენონ ყველა ადგილობრივი რესურსები, მომჭირნეობით ხარჯონ წედლეული, სათბობი, ელექტროენერგია, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი და შრომის დისციპლინა, უზრუნველჰყონ ახალგაზრდა მუშების პოლიტიკური და საწარმოო აღზრდა.

საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით უნდა ვამრავლოთ ომიანობის დროის სტახანოველთა რიგები, მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ ჩვენი სამშობლოსა და ფრონტის ინტერესებს, ვერაგ მტერზე გმირი წითელი არმიის გამარჯვების ამოცანას.

გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით გმირი წითელი არმია **სტალინგრადის რაიონში, ცენტრალურ ფრონტზე, დონის შუაწელის რაიონში და ჩრდილოეთ კავკასიაში** გამანადგურებელ დარტყმებს აგემებს გერმანელ ფაშისტთა ურდოებს, სპობს მათ ცოცხალ ძალასა და ტექნიკას, ფაშისტი მტარვალებისაგან ანთავისუფლებს საბჭოთა მიწა-წყალს. ჩვენი ჯარების ეს წარმატებითი შეტევა ავალებს საბჭოთა საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა დარგის მეთაურს, ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკოსს, მოსამსახურეს, ყველა მშრომელს თავთავიანთ უბნებზე კიდევ უფრო მეტი ორგანიზებულობა გამოიჩინონ, დაუოკავი შრომის სჯედონ ვერაგ მტერზე გამარჯვება, გეგმის გადამეტებით გამოუშვან მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია გმირი წითელი არმიის დასახმარებლად, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა სრული განადგურებისათვის.

## ᲐᲮᲡᲝᲖᲠᲐᲚᲘᲘᲡ ᲓᲔᲡᲙᲐᲜᲛᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ Ბ-ᲜᲛᲐ Ვ. ᲡᲚᲔᲘᲒᲔᲠᲛᲐ ᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲒᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ

1943 წლის 13 იანვარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. მ. ი. კალინინმა მიიღო ავსტრალიის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში ბ-ნი ვ. სლეიტერი, რომელმაც თავისი რწმუნების სიგელები გადასცა.

## ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲗᲘᲗᲘ ᲖᲚᲣᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲔᲑᲘᲗᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲗᲔᲑᲐ

თავდაცვითი ზღუდეების მშენებლობაში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია ჩრდილოეთ კავკასიაში თავდაცვითი ზღუდეების მშენებელთა ჯგუფი.

**ლენინის** ორდენით დაჯილდოებულნი არიან: საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. დ. ბუჯიაშვილი, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. დ. გაგლოევი, დაღისტნის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ა. დ. დანიალოვი, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე კ. დ. კულოვი, საკ. კ. პ. (ბ) ჩრდილოეთ ოსეთის ოლქკომის მდივანი ნ. პ. მაზნინი, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ს. კ. მოლაევი, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. დ. ტამბიევი, დაღისტნის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გ. ტახტაროვი.

**შრომის წითელი დროშის** ორდენით დაჯილდოებულია 12 კაცი;

**წითელი ვარსკვლავის** ორდენით დაჯილდოებულია 21 კაცი;

**„საპატიო ნიშნის“** ორდენით—25 კაცი;

მედლით **„საბრძოლო დამსახურებისათვის“**—92 კაცი;

მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“**—58 კაცი;

მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის“**—62 კაცი (საკდესი).

## ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ

**მოკმედი არმია,** 12 იანვარი (ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისაგან). ჩვენმა ნაწილებმა ეჯუაგდეს გერმანელ ფაშისტთა ჯარები მინერალნი ვოდიდან, ეელეზნოვოდსკიდან და პიატიგორსკიდან და დღეს განაგრძობდნენ მტრის შევიწროებას. თითქმის ყველა უბანზე გაფთრებული ბრძოლები სწარმოებს, მთელი რიგი მიმართულებებით გერმანელებმა რამდენიმე კონტრიერიში მოიტანეს, რომლებშიც ქვეითს ჯარი გარდა, მონაწილეობდნენ ტანკები. ზოგიერთ უბანზე მტრის კონტრიერიშებს ეხმარებოდა ავიაცია, მაგრამ მოწინააღმდეგემ ვერსად ვერ მოახერხა წარმატებს მიღწევა. ჩვენმა შემტევმა ჯარებმა დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. მტერი განდევნილია ქალაქ და რკინიგზის სადგურ ესენტუკიდან და დიდი დასახლებული პუნქტებიდან — ესენტუკსკაიადან, ლერმონტოვსკაიადან, კარასიდან, ნიკოლაევსკაიადან, ბეშტაუნტიდან.

წითელი არმიის ნაწილების შეტევითი მოქმედება განირჩევა მტრის ძირითად დასაყრდენ პუნქტებზე უეცარი დარტყმებით. ეს თავზარს სცემს მტერს, ცალკეულ უბნებზე, მოულოდნელი დარტყმების შედეგად, ფაშისტები პანიკურად იხევენ უკან და დიდი ზარალი მოსდით. ხშირად მტრის დასაყრდენ პუნქტებს გარს უვლიან. ასეთ შემთხვევებში ჩვენი ჯარები გარს ერტყმიან მტრის გარნიზონებს და სპობენ მათ.

როდესაც წითელი არმიის ნაწილებმა დაიკავეს ეელეზნოვოდსკი და პიატიგორსკი, მტრის გარნიზონები კიდევ ინარჩუნებდნენ დასახლებულ პუნქტებს ნიკოლაევსკაიის და კარასს. ნ შენაერთის ნაწილები, ანვითარებდნენ რა მიღწეულ წარმატებას, უკუაგდებდნენ მტერს დასავლეთისაკენ, ამავე დროს კი ზოგიერთ ქვეგანაყოფს იერიში მიჰქონდა ნიკოლაევსკაიასა და კარასში. მყოფ გერმანელთა გარნიზონებზე. მტერმა ვითომ სცადა თავი დაეცვა ამ დასახლებულ პუნქტებში, იმედი ჰქონდა შეეჩერებინა ჩვენი შეტევა ფლანგებიდან დარტყმის მუქარით. მაგრამ საბჭოთა მეომრებმა იერიშები ისე ძლიერი და დაუღალავი აღმოჩნდა, რომ გერმანელებმა ვერ მოახერხეს დიდ ხანს შეენარჩუნებინათ თავიანთი პოზიციები. ისინი გარშემორტყმის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ და უკან დახევა იწყეს. მაგრამ ჩვენმა ქვეგანაყოფებმა ზოგიერთი უკანდასახევი გზა მოუჭრეს და ფლანგებიდან დარტყმით დიდი ზარალი მიაყენეს მტერს. მტრის ცოტაოდენი ჯარისკაცი გადაურჩა ამ დარტყმას.

შეუპოვარი ბრძოლები სწარმოებდა ქალაქ ესენტუკისათვის. აქ გერმანელებს მნიშვნელოვანი რაოდენობით ჰქონდათ აგებული ძელმიწურები და ბლინდაჟები. ყველა გზა და ბილიკი მტერს ღრმა თხრილებით დაესერა და ნაღმანი მინდვრებით გადაეღობა. მაგრამ ყოველივე ამან ვერ უშველა მის მდგომარეობას. როდესაც ჩვენმა ნაწილებმა კისლოვოდსკი დაიკავეს, მტერი, ამნაირად, ორი მხრიდან დარტყმების წინაშე აღმოჩნდა. რამდენიც არ ეცადა იგი შეენარჩუნებინა ესენტუკი, რამდენსაც არ ცდილობდა მოეგერიებინა ნ შენაერთის ნაწილების იერიშები, შეუპოვარი ბრძოლას შემდეგ მაინც იძულებული იყო უკან დაეხია.

ჩვენი ჯარების მიერ დღეს დაკავებულ დასახლებულ პუნქტებში მტერს დიდი ზარალი მოუვიდა ცოცხალი ძალის მხრივ. იგი აქ იძულებული იყო მიეტოვებინა ქვემეხების, ნაღმსატყორცნების, სომარი მასალისა და ავტოტრანსპორტის მნიშვნელოვანი რაოდენობა.

(„კრასნაია ზვეზდა“, 13 იანვარი).

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲬᲐᲚᲙᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ, ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ „ᲡᲝᲕᲔᲢᲗᲐᲙᲐᲜ ᲕᲠᲐᲡᲢᲐᲜᲘ“ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲐᲛᲮ. ᲐᲚᲐᲡᲘ ᲒᲐᲚᲣᲡᲢᲘᲡ-ᲫᲔ ᲡᲜᲮᲩᲘᲐᲜᲡ

**მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა, ამხანაგო სნხჩიან, წითელი არმიის ჯავშანსატანკო ძალებზე თქვენი ზრუნვისათვის.**

**ი. სტალინი**

მოსკოვი, კრემლი

## ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ

გვარდიის პირველი საჰაერო სადესანტო დივიზიის მებრძოლებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა ესკადრილია „სტალინელი მედესანტის“ ასაგებად შეიტანეს თავიანთი დანაზოგი 1.324.500 მანეთი. სახსრების შეგროვება გრძელდება.

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ხალხის დანაზოგით აგებული თვითმფრინავები დააჩქარებენ ჩვენს გამარჯვებას და ფაშისტთა ურდოების განადგურებას. ჩვენ, გვარდიელი მედესანტეები, ფიცსა ვდებთ ღირსეულად შევასრულოთ ყოველი თქვენი ბრძანება.

სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

გვარდიის პირველი საჰაერო სადესანტო დივიზიის მეთაური

გვარდიის გენერალ-მაიორი **კაზანკინი**

## ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲡᲐᲓᲔᲡᲐᲜᲗᲝ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲐ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲡ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠ ᲙᲐᲖᲐᲜᲙᲘᲜᲡ

**გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა გვარდიის პირველი საჰაერო სადესანტო დივიზიის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, რომლებმაც 1.324.500 მანეთი შეაგროვეს თვითმფრინავების ესკადრილია „სტალინელი მედესანტის“ მშენებლობისათვის.**

**ი. სტალინი**

მოსკოვი, კრემლი

## ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘ Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ

საბრძოლო წარმატებანი წითელი არმიისა, რომელიც თქვენი პირადი ხელმძღვანელობით ანადგურებს ფაშისტთა ურდოებს სამამულო ომის ფრონტებზე, აღაფრთოვანებენ ოლქის ნაწილთა პირად შემადგენლობას, მათს ოჯახებს და ფრონტელ მეთაურთა ოჯახებს. კოლმეურნეებისა და დიადი სამშობლოს ყველა პატრიოტთა მაგალითისამებრ, ფრონტელთა ცოლებმა რამდენიმე დღის განმავლობაში შეაგროვეს და სახელმწიფო ბანკში შეიტანეს 790.000 მანეთი თვითმფრინავთა ესკადრილიის „მებრძოლი მეგობარი ქალის“ ასაგებად, გარდა ამისა ციმბირის სამხედრო ოლქის წითელარმიელებმა, კურსანტებმა და მეთაურებმა ამ უკანასკნელ ხანს წითელი არმიისათვის საჭურველის შესაძენად შეაგროვეს 7.446 ათასი მანეთი. სახსრების შეგროვება წარმატებით გრძელდება, როგორც ლენინ-სტალინის პარტიისადმი, თავისი სოციალისტური სამშობლოსადმი ერთგულების, წითელი არმიისა და თქვენდამი, ამხანაგო სტალინ, მისი საყვარელი ბელადის, მასწავლებლისა და გენიალური მხედართმთავრისადმი უსაზღვრო სიყვარულის მკაფიო დემონსტრაცია.

ციმბირის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი

გენერალ-ლეიტენანტი **მედვედევი.**

ციმბირის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი

გენერალ-მაიორი **კოლოგიაკოვი.**

ციმბირის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსი

პოლკოვნიკი **ზახარიჩევი.**

მოსკოვი, კრემლი

## ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ

**სარატოვის ოლქის კოლმეურნის ამხ. გოლოვატის კეთილშობილური მაგალითისამებრ აკარის ასსრ ქობულეთის რაიონის 100-მა კოლმეურნემ მოაწყო სახსრების შეგროვება სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის“ ასაგებად. პირადი დანაზოგიდან მათ შეაგროვეს 10 ათასი მანეთი თითოეულმა და სახელმწიფო ბანკში შეიტანეს 1.000.000 მანეთი.**

ქობულეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ქესკინ ისმაილის-ძე მებრელიძე**

მოსკოვი, კრემლი

## ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

პასუხად თქვენი მისალმებისა და წითელი არმიის სახელით გადმოცემული მადლობისა, ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიის გეგეჭკორის სახელობის ორდენოსანი კოლმეურნეობის კოლმეურნეებმა და კოლმეურნე ქალებმა თავიანთი პირადი დანაზოგიდან დამატებით შეაგროვეს და სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში შეიტანეს 1.100.000 მანეთი სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის“ ასაგებად.

ჩვენი კოლმეურნეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში იყო ჩაბმული უკრაინის სსრ ტალალაევკის რაიონის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობასთან. ახლა ჩვენი ძმები უკრაინელები გერმანელ ფაშისტთა მონური წყობილების უღელქვეშ გმინავენ. ჩვენ გვსურს მოძმე უკრაინელი ხალხი ვნახოთ განთავისუფლებული, ჩვენ გვსურს შემდეგშიც შევეჯიბროთ უკრაინელ კოლმეურნეებს ბედნიერი, შეძლებული საკოლმეურნეო ცხოვრებისათვის. ჩვენ ვამაყობთ მშობლიური წითელი არმიით, რომელიც შეიდა უკრაინის მიწა-წყალზე, და დარწმუნებული ვართ, რომ იგი ღირსეულად შეასრულებს თავის განმათავისუფლებელ მისიას.

ცოცხლობდეს მრავალ წელს ჩვენი საბჭოთა ხალხის სასახელოდ ჩვენი დიდი მხედართმთავარი და ბელადი ამხანაგი **სტალინი!**

საქართველოს სსრ ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიის გეგეჭკორის სახელობის ორდენოსანი კოლმეურნეობის კოლმეურნეებისა და კოლმეურნე ქალების დავალებით

კოლმეურნეობის თავმჯდომარე **თევდორე ამბროსის-ძე ᲣᲣᲠᲣᲐ**

## ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ

### რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**რუსეთის სფს რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები**

**გადაიდოს 1943 წლის დეკემბრამდე** რუსეთის სფს რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები და განგრძობილ იქნას ამავე ვადით ამ საბჭოების რწმუნებულება.

**რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**

**პ. ბადაევი**

**რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**

**პ. ბასმეროვი**

**მოსკოვი, 1943 წ. 13 იანვარი.**

## ᲕᲔᲚᲘᲙᲘᲔ ᲚᲣᲙᲘᲡᲘ

### საუბარი საქ. კ. პ. (ბ) ᲕᲔᲚᲘᲙᲘᲔ ᲚᲣᲙᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲗᲐᲜ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲘᲗᲐᲜ

**მოკმედი არმია,** 11 იანვარი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ჯერ კიდევ ქვამლშია გახვეული ნახანძრალის ნაშთები. ველიკიე ლუკის ქუჩებს ღრიალით გადაუვლიან ხოლმე ფაშისტთა ბომბდამშენები. ჩვენ ნანგრევებში მოვდივართ იმ ადგილისაკენ, სადაც ოდესღაც დიდი წითელი შენობა იყო. გზა ნეკასოვისა და პოლავსკის ქუჩებით მიდის. ტროტუარების გასწვრივ და ქვაფენილზე ჯერ კიდევ ჰყრია ფაშისტ „დამპყრობთა“ გვამები. გვაძენი ისე ბევრია, რომ სპეციალური რაზმები ვერ ასწრებენ მათ აკრეფას. აი, ბოლოს, ჩვენი გზის მიზანი. დაბლა ჩავდივართ ციცაბო საფეხურებით და შევდივართ ვიწრო ნესტიან სარდაფში. შემოგვეგება პარტიის ველიკიე ლუკის საქალაქო კომიტეტის მდივანი მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში ი. ი. გრიგორიევი. ეს-ეს არის დამთავრდა პარტიული აქტივის თათბირი, რომელიც პირველად შესდგა გერმანელებისაგან ქალაქის განთავისუფლების შემდეგ. საკ. კ. პ. (ბ) ველიკიე ლუკის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხანაგი გრიგორიევი მოგვითხრობს:

— აი აქ, ამ სარდაფში, დროებით მოთავსდა ქალაქის ხელისუფლების ყველა ორგანო. სხვა უფრო შესაფერისი სადგომი ჯერ-ჯერობით არ არის. ომის დაწყებამდე ქალაქში 3.800 შენობა თვლებოდა. გერმანელთა მიერ ჩადენილი ნგრევის შემდეგ ძალიან ცოტა შენობაღა დარჩა.

ომამდე ველიკიე ლუკში რამდენიმე ათეული ათასი მცხოვრები იყო. ბევრი მათგანი წითელ არმიასთან ერთად წავიდა. გერმანელთა მიერ ქალაქის ოკუპაციის მომენტში აქ 15-17 ათასი კაცი რჩებოდა. ოფიციალური სიებით, რომლებიც თვით გერმანელთა მიერ არის შედგენილი, ქალაქში 7.000-მდე კაცი დარჩა. დანარჩენები ნაწილობრივ გაქელიტეს, ნაწილობრივ კი კატორღულ სამუშაოზე გაჰგზავნეს გერმანიაში.

ეწით აუწერელია ფაშისტ ყაჩაღთა მხეცობა. პენოსა, ტოროპეცსა და ანდრიაპოლზე წითელი არმიის შურშანდელი შეტევის დროს ჰიტლერელებმა რამდენიმე ათასი კაცი მირეკეს რკინიგზის კვანძზე. ქალაქის ასობით მცხოვრები 2-3 კვირის განმავლობაში დამწყდეული იყო ფაბრიკა-სამზარეულოს ცივ სადგომში. მათ სრულიად არ ეძლეოდათ საჭმელი. დაიწყო მასობრივი სიკვდილიანობა. ფაშისტური დესპოტიზმის მსხვერპლთა ნახევარი დაიხოცა.

ცნობილია შემთხვევები, როცა გამხეცებული ბანდიტები ქალაქის მცხოვრებთ განაპირა უბნების ფარდულებში შერეკავდნენ და ცოცხლად სწვავდნენ. ჰიტლერელმა ჯალათებმა დახვრიტეს ველიკიე ლუკის კვანძის ძველი მემანქანე, ქალაქში კარგად ცნობილი მახეილ კოვზანი. გმირული სიკვდილით დაიღუპა ორი ძველი მუშა — ინვალიდი თევდორე ჩერტოლნოგოვი და ივანე ვასილიევი. მათ მაქს ჰელიის სახელობის ორთქლმავალ-სარემონტო ქარხნის საკომპრესოროში მწყობრიდან გამოიყვანეს რთული მექანიზმი. გერმანელებმა მხეცურად დასაჯეს ისინი სიკვდილით. ხალხი არასოდეს არ აპატიებს გერმანელებს მთელი ქალაქისათვის საყვარელი ადამიანის, მასწავლებლის, 20 წლის კლავა ბაკლანოვას სიკვდილს. ჯალათებმა ქალიშვილი დახვრიტეს საზაფხულო ბაღის ახლოს.

როგორია ჩვენი პირველი ნაბიჯები განთავისუფლებულ ქალაქში? ჩვენი საქმიანობა უწინარეს ყოვლისა იქით არის მიმართული, რომ დახმარება გავუწოთ ჰიტლერელი ყაჩაღებისაგან დაზარალებულ მოსახლეობას. ქალაქში უკვე მუშაობს რამდენიმე ექიმი, რომლებიც ჯარის ნაწილთა სამედიცინო მუშაკებთან ერთად პირველ დახმარებას უწევენ დაჭრილ მცხოვრებთ. ჩვენ ღრმა ზურგში გავიყვანეთ მრავალი ობოლი, შეგმოსეთ ისინი.

დაიწყო მუშაობა კომუნალური მეურნეობის საქალაქო განყოფილებამ. იგი აღრიცხავს გადარჩენილ საბინაო ფონდს და უკვე შეუდგა ქუჩებისა და ზოგიერთი შენობის გაწმენდას. ამ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს ქალაქის აქტივი. იქმნება მშენებელ-აღმდგენელი ბრიგადები. ამ დღეებში დაიწყებს მუშაობას სასადილო. დაიწყება პირველი საჭიროების საგნებითა და სურსათ-სანოვაგით ვაჭრობა.

ხანგრძლივი შეწყვეტის შემდეგ გამოვიდა საქალაქო გაზეთი „ველიკოლუკსკაია პრავდა“ მორიგი ნომერი.

ველიკიე ლუკის მოსახლეობამ. წითელი არმიის სახელოვანი გამარჯვებით აღფრთოვანებულმა. მადლობის ნიშნად სატანკო კოლონის მშენებლობის ფონდისათვის რამდენიმე დღეში 864.000 მანეთი შეაგროვა.

ძნელი იქნება ჩვენი ქალაქის აღდგენა გერმანელთა მიერ ჩადენილი ნგრევის შემდეგ. მაგრამ ჩვენ სიძნელეებისა არ გვეშინია. გაიარეს რამდენიმე ხანი, და ველიკიე ლუკი კვლავ გახდება აყვავებული საბჭოთა ქალაქი.

## ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲐᲒᲐᲜ

### 13 ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ ᲓᲘᲚᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

12 იანვრის დამის განმავლობაში ჩვენი ჯარები დონის ქვემოწელის რაიონში, ცენტრალურ ფრონტზე და ჩრდილოეთ კავკასიაში განაგრძობდნენ ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

• • •

სტალინგრადის საქარხნო რაიონში ჩვენი მოიერიშე რაზმები ერთ უბანზე ქალაქის დასავლეთ განაპირა უბანში გაიდნენ. შუუპოვარი შეტაკებები ხდებოდა ქუჩებში, ეზოებში, ყოველ სახლში. მტერმა ზედიზედ მოიტანა ექვსი კონტრიერიში. ჩვენმა მებრძოლებმა ჰოიგერიეს ჰიტლერელთა ყველა კონტრიერიში და გასწყვიტეს გერმანელთა ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი წამოღებულია დავლა და წამოყვანილია ტყვეები.

• • •

დონის ქვემოწელის რაიონში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. ერთ უბანზე გერმანელებმა თავი მოუყარეს დიდძალ ქვეით ჯარსა და ტანკებს და კონტრიერიში მოიტანეს ჩვენს ნაწილებზე. მტრის ტანკებმა თავდაპირველად მოახერხეს უმნიშვნელოდ წინწამოწევა. ჩვენმა ჯარებმა თავიანთი ძალები გადააჯგუფეს, ჰიტლერელები უკუაგდეს და დიდი ზარალი მიაყენეს მათ. სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილებმა დიკაევეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. გაწყვეტილია 800-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპობილია 7 ქვემეხი, დაზიანებულია და დამწვარია 5 ტანკი. წამოღებულია შემდეგი დავლა: 8 ქვემეხი, 30 ავტომანქანა, ბევრი შაშხანა, საწყობები საომარ მასალიანად და სურსათიანად.

• • •

ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელი მიმართულებებით. რეევის დასავლეთით მდებარე რაიონში მტერმა ორ რაზმად მოაწყო დაზვერვა 6 ნაწილის თავდაცვის წინა კიდეზე. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა არტილერიის, თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაჰფანტეს და ნაწილობრივ გასწყვიტეს მტრის რაზმები.

• • •

ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ჯარები სძლევდნენ გერმანელთა წინააღმდეგობას. წინ მიიწევდნენ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დიკაევეს. 6 მსროლელი ნაწილის მებრძოლებმა ტანკისტების თანამოქმედებით მტერი განდევნეს გამაგრებული პოზიციებიდან. წამოღებულია დავლა და წამოყვანილია ტყვეები. სხვა უბანზე ჩვენი მზვერავები ღამით გერმანელების მიერ დაკავებულ რკინიგზის სადგურში შეიჭრნენ და ააფეთქეს მატარებელი სომარ მასალიანად.

• • •

ჩვენი თვითმფრინავების ჯგუფი უფროს ლეიტენანტ კისელიოვის მეთაურობით თავს დაესხა მტრის აეროდრომს ქ. კრასნოდარში. მფრინავები უეცრად გამოჩნდნენ აეროდრომზე და დაბომბეს იქ მყოფი მტრის თვითმფრინავები. იმავე დღეს გიდევ რამდენიმე თავდასხმა მოაწყეს ამ ადგილებზე. ოსპობილია ერთმოტორიანი მიწა-ფეთქებადი ბომბდამშენი. გარდა ამისა, საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდ

### აკადემიკოსი ტ. დ. ლისენკო

## მეჯი რაოდენობით დავამზადოთ დასარგავად სასურსათო კარტოფილის ჯუბერის წვეროები*)

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კლიმატურ პირობებში 1942 წლის ფართო საწარმოო გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სასურსათო კარტოფილის მსხვილი ტუბერების წაჭრილი წვეროები კარგ სარგავ მასალას წარმოადგენს. ამ ფაქტორებმა ზამთრის პერიოდში კარგად დაცული ასეთი წვეროები უკეთესი სარგავი მასალაა, ვიდრე ასეთივე ჯიშის ჩვეულებრივი სასურსათო ტუბერები. ეს ფაქტორი ადასტურებს, რომ აღარა ვთქვათ რა უფრო წვრილ ტუბერებზე. ამავე დროს, წვეროები წარმოადგენს ტუბერებზე უფრო იაფ სარგავ მასალას.

მსხვილი სასურსათო ტუბერებზე წაჭრილი 40–15-გრამიანი წვეროების დარგვისას ჰექტარზე საჭირო იქნება 4–5 ცენტნერი სარგავი მასალა. მთელი ტუბერების დარგვისას კი, მთელი ტუბერი წონით 40–50 გრამზე მეტიც რომ არ იყოს, ჰექტარზე იხარჯება 16–20 ცენტნერი.

### როდის და როგორ წავაჭრათ წვეროები კარტოფილის ტუბერებს

ტუბერებისათვის წვეროების წაჭრა უმჯობესია კარტოფილსაცავებში უშუალოდ იმის წინ, იქიდან კარტოფილის გამოსაყენებლად გადაცემოდეს სასადილოებს. უნდა ვიცოდეთ, რომ ადრე შეიძლება წვეროების წაჭრა 7–10 დღეზე უფრო ადრე ტუბერების სასურსათო ან ტექნიკური მიზნებისათვის გამოყენებამდე. დახარჯული ტუბერები (მათზე წვეროების წაჭრის გამო) მათს გამოყენებამდე ხანგრძლივ პერიოდში უფრო ცუდად შეინახება, ჰეტ ყურადღებასა და მზრუნველობას მოითხოვს.

კარტოფილის ტუბერებზე წვეროების წაჭრის ტექნიკა მარტივია. მაგრამ გამოცდილებამ დადგენახვა, რომ გაურკვეველი ადამიანები ამ საქმის რაობაში ვერ ერკვევიანენ და წვეროების წაჭრას ხშირად არასწორად აწარმოებდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც წვეროს ნაცვლად სჭრიდნენ ტუბერის ქვემო, ჰიპლარის ნაწილს. ხშირად მეტად მცირე ზომის წვეროებს, სჭრიდნენ მსხვილი ტუბერებიდან და, პირიქით, მეტად დიდ წვეროებს — მცირე ზომის ტუბერებიდან.

ტუბერის წვერო ძნელი გასარჩევი არ არის ქვემო ნაწილისაგან, ჰიპლარისაგან. წვეროში თავმოყრილია ყველაზე მეტი კვირტები. ტუბერის ჰიპლარი, ქვემო ნაწილი ადვილი გამოსაცნობია იმ ღერის ნაშთით, რომელითაც ტუბერი მიკრული იყო ბუჩქზე. თუ ტუბერზე ღეროს ნაჭერი არ არის, შეიძლება მოინახოს მისი ყოფილი მიმაგრების ადგილი — ჩვეულებრივ პატარა, მრგვალი ღრმული.

მსხვილ ტუბერს, რომელიც 150 გრამსა და მეტს იწონის, უნდა წავაჭრათ დაახლოებით 15 გრამი წვერო, დაახლოებით 100 გრამის წონის ტუბერს საჭიროა წავაჭრათ დაახლოებით 10 გრამი წვერო, 70–დან 100 გრამამდე წონის ტუბერს — დაახლოებით 7–8 გრამი. წვერილ, 50 გრამზე ნაკლები წონის ტუბერებს წვეროები არ უნდა წავაჭრათ.

არ შეიძლება წავაჭრათ 15 გრამზე მეტი წონის წვეროები. მეტად დიდი წვეროების წაჭრა შეამცირებს სურსათისათვის გამოსაყენებელი ტუბერების გულის რაოდენობას. მხოლოდ ყველაზე მსხვილ ტუბერებს, რომლებიც 200–300 გრამს იწონის, საჭიროა წავაჭრათ დაახლოებით 20-გრამიანი წვეროები.

მაგრამ საჭიროა აგრეთვე ვიცოდეთ, რომ მსხვილ 150 გრამზე მეტი წონის ტუბერებს არ შეიძლება წავაჭრათ მეტად მცირე ზომის წვეროები — 7–10 გრამი წონისა. ამ შემთხვევაში მსხვილ ტუბერზე წაჭრილი 7–10-გრამიანი წვერო მეტად წვრილი იქნება და შეინახვისას გახმება, გარდა ამისა, მას მცირე საკვები ნივთიერება ექნება ყლორტებისათვის, ვინაიდან ასეთ წვეროებში მეტიწილი წონა კანზე მოდის. თუ ტუბერებს დიდი წანაზარდები აქვს, ყოველ ასეთ წანაზარდსაც უნდა წავაჭრათ წვერო.

საერთოდ, უმჯობესია წავაჭრათ ტუბერს იმოდენა წვერო, რომ მისი წონა მთელი ტუბერის წონის 8–10 პროცენტს შეადგენდეს. რაც უფრო მსხვილია ტუბერი, მით უფრო მეტი წონის წვერო უნდა წავაჭრათ.

კარტოფილსაცავებში, სადაც სწარმოებს წვეროების წაჭრა, აუცილებლად აწონის გზით უნდა შეკამოწმოთ წაჭრილი წვეროების წონის სისწორე. ამისათვის უნდა ავწონოთ ერთი კილოგრამი წვეროები და დათვლოთ მათი რაოდენობა. მსხვილ 150-გრამიან და მეტი წონის ტუბერებზე წაჭრილ ერთ კილოგრამ წვეროებში დაახლოებით 70 წვერო უნდა იყოს. 70-100 გრამიან ტუბერებზე წაჭრილ კილოგრამ წვეროებში უნდა იყოს 100–125 წვერო.

საჭიროა სასტიკად ვადევნოთ თვალყური იმას, რომ წვეროები არ წაეჭრას დაავადებულ, დამპალ ტუბერებს, აგრეთვე იმ ტუბერებს, რომლებსაც წვერო მოყინული აქვთ. ასეთი წვეროები, საღ წვეროებში რომ გაეგზავნა, მათი დაავადების წყარო გახდება. წაჭრისას ყოველი წვერო უნდა გავსინჯოთ. თუ სირბილეს ლაქები ან დაავადების სხვა ნიშნები აქვს, ასეთი წვეროები კარტოფილის ნარჩენებში უნდა გადავყაროთ.

საჭიროა ყველა ზომა მივიღოთ იმისთვისაც, რომ კარტოფილის წვეროების წანაჭერი ადგილები ტუბერების დაავადებულმა ნაწილებმა არ დაიბინძოს, აგრეთვე იმისათვის, რომ დაავადებული ტუბერების წვეროებიდან შემთხვევით მოხვედრილი დაავადების გამომწვევი საწყისები არ განვითარდნენ, არ გამრავლდნენ. ამიტომ წაჭრილი წვეროები არ შეიძლება შევინახოთ თბილ ბინაში, სადაც ადვილად ვითარდება კარტოფილის სხვადასხვა დაავადების გამომწვევი საწყისები.

იმისათვის რომ კარტოფილს სწორად და სწრაფად წაეჭრა წვეროები, აგრეთვე დაავადებული ტუბერი საღისაგან განასხვავო, საჭიროა სათანადო ჩვევა. ამიტომ საცავებში ან სხვა ბინებში, სადაც ყოველდღე აწარმოებს წვეროების წაჭრა კარტოფილის დიდ პარტიებზე, საჭიროა ამ სამუშაოზე დავაყენოთ ერთი-ორი-სამი მუდმივი მუშა.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ წვეროწაჭრილ ტუბერებს არ შეიძლება გავაცალოთ კანი კარტოფილსაწმენდი მანქანებით. ამ შემთხვევაში, თუ ნარჩენებს სახამებლის გამოსამუშავებლად არ იყენებენ, დანაკარგი გაიზრდება.

### კარტოფილის წაჭრილი წვეროების შენახვა

წაჭრილი წვეროები ოდნავ გასაშრობად კარტოფილსაცავებში უნდა გავშალოთ 5–10 სანტიმეტრის სისქის ფენად 5–10 დღით და დღეში ერთხელ ხელით გადავაბრუნოთ წვეროები, რის შემდეგაც ისინი შეიძლება დავტოვოთ 30–40 სანტიმეტრის სისქის ფენად.

ყველაზე უმჯობესია საცავებში ოდნავ გაშრობის შემდეგ წვეროებს ფენებად ჩავაყოლოთ მშრალი სილა ან მშრალი მიწა. ამ შემთხვევაში წვეროები გაცილებით უკეთესად შეინახება. ნაკლები იქნება მათი დალპობისა და გახმობის შესაძლებლობა, იმ შემთხვევაში, როდესაც წვეროების წაჭრა ერთ ადგილას ხდება, მათი შენახვა კი სხვა ადგილას, ყინვიან დღეებში წვეროების შესანახ ადგილზე გადასაზიდავად დაობუნებული ტარა უნდა გამოვიყენოთ.

წვეროების შენახვის დროს ტემპერატურა ისეთივე უნდა იყოს, როგორიც ჩვეულებრივ საჭიროა სათესლე კარტოფილის კარგად შენახვისათვის: 1–3 გრადუსი სითბო. საცავი ნესტიანი არ უნდა იყოს. წვეროების შენახვას კარგად უნდა ვადევნოთ თვალყური. მათი ოდნავი ლპობის შემთხვევაში, წვეროები უნდა გადავარჩიოთ და დამპალი წვეროები მოვაშოროთ.

ის წვეროები, რომლებიც შენახვისას თუნდაც ოდნავ ლპობას (1–2 პროცენტს) იძლევა, აუცილებლად უნდა გადავარჩიოთ. თუ ისინი ისე ინახებოდა, რომ სილა არ ჰქონდა ჩაყოლებული, აუცილებლად ფენებად უნდა ჩავაყოლოთ მშრალი სილა ანუ მშრალი მიწა, კარტოფილის ტუბერის წვეროები, რომლებსაც ფენებად ჩაყოლებული აქვს მშრალი სილა ან მშრალი მიწა, გაცილებით უკეთესად შეინახება. ამ მიზნისათვის ნაცრის გამოყენება არ შეიძლება.

### წვეროების დაგზადება და შენახვა ინდივიდუალურ ყოფაცხოვრებაში

ინდივიდუალურ ყოფაცხოვრებაში, თავის სახლში მუშებმა, მოსამსახურეებმა, კოლმეურნეებმა საჭიროა ტუბერებს წვეროები წაჭრან მხოლოდ უშუალოდ იმის წინ, როცა ტუბერებს კანი უნდა გაეცალონ საკვლის დასამზადებლად. თუ ტუბერები კანის გაცლის წინ ირეცხება, წვეროები გარეცხის წინ უნდა წავაჭრათ. ოთახის ტემპერატურაში ერთ-ორ დღეს ოდნავ გაშრობის შემდეგ წვეროები კალათში ან ყუთში უნდა ჩავაწყოთ და ფენებად ჩავაყოლოთ მშრალი სილა ან მშრალი მიწა. სილის ან მიწის ფენა შეიძლება დიდი არ იყოს, ოღონდ წვეროები ოდნავ გამოიყოფოდეს ერთიმეორისაგან მშრალი სილით ან მშრალი მიწით. ის კალათები და ყუთები, რომლებშიც ჩაწყობილია კარტოფილის წვეროები, უმჯობესია შევინახოთ ისეთ ბინაში, სადაც ტემპერატურა მეტისმეტად მაღალი არ არის (საუკეთესო ტემპერატურა იქნება 1–3 გრადუსი სითბო). მაგრამ იმასაც უნდა ვადევნოთ თვალყური, რომ ბინაში ყინვა არ იყოს.

ინდივიდუალურ ყოფაცხოვრებაში დამზადებულ კარტოფილის წვეროების მცირე პარტიებს კარგი იქნება შენახვისას ჩავაყოლოთ კალათებსა ან ყუთებში, ანდა იატაკზე იმ ბინებში, სადაც ისინი ინახება, მშრალი სილა ან მშრალი მიწა. ამ შემთხვევაში წვეროები გაზაფხულამდე უკეთესად შეინახება მაშინაც კი, როდესაც ამა თუ იმ მუშას ან მოსამსახურეს წვეროების შესანახავად არა აქვს სათანადო ბინა, ე. ი. სადაც დაცული არ არის თანაბარი ტემპერატურა — 1–3 გრადუსი სითბო.

შეიძლება მოეწყოს მუშებისა და მოსამსახურეების მიერ ინდივიდუალურ ყოფაცხოვრებაში დამზადებული წვეროების ჩაბარება საქალაქო კარტოფილსაცავებისათვის, აგრეთვე ფაბრიკა-ქარხნებისა და დაწესებულებების კარტოფილსაცავებისათვის.

კარტოფილის სასურსათო ტუბერის წვეროების მასობრივი დამზადების სწორი ორგანიზაციის შემთხვევაში ზამთრის პერიოდში შეიძლება დაგროვდეს დიდძალი კარგი დამატებითი სარგავი მასალა. ეს შესაძლებელს გახდის გეგმის გარეშე კარტოფილის დარგვის მნიშვნელოვან გაფართოებას, აგრეთვე მთელ რიგ შემთხვევებში გაზაფხულზე არაკეთილხარისხოვანი ტუბერი სარგავი მასალის შეცვლას.

კარტოფილის ტუბერის წვეროების დამზადების საქმეში საჭიროა ჩატარდეს დიდი, მასობრივ-სხსნაგანმარტებითი მუშაობა. საჭიროა ამ ღონისძიების სარგებლიანობისა და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის განმარტება.

ბრძოლა სასურსათო კარტოფილის ტუბერის რაც შეიძლება მეტი კარგი წვეროების დამზადებისა და მათი კარგად და სწორად შენახვისათვის არის ბრძოლა კარტოფილის დარგვის გეგმის გადამეტებით მაქსიმალურად გაფართოებისათვის და მისი მოსავლიანობის გადიდებისათვის. ეს არის ერთ-ერთი ფორმა ვირი წითელი არმიისადმი დახმარებისა მის ბრძოლაში თავისუფლებისმოყვარე კაცობრიობის უბოროტესი მტრის — გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ.

*) სსრ კავშირის მიწსაჯომის მიერ გამოცემული ბროშურიდან. 1942 წ.

## პარტიული ცხოვრება

### კომკავშირული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის

საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მრავალი სანელოვანი მებრძოლი აღზარდეს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მათი სახელები ფართოდ არის ცნობილი.

ფრონტზე და ზურგში სახელოვანი პატრიოტული საქმეები სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად ახალგაზრდობის აღზრდის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

კომკავშირის თბილისის ორგანიზაციები ზურგში გმირული შრომით ეხმარებიან ფრონტს ჰიტლერელ ბარბაროსთა სრულ განადგურებაში. კომკავშირელები წარმოების მოწინავენი არიან. მაგალითად, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში დაზგაზე მომუშავე ყველა 107 კომკავშირელი გეგმას გადაჭარბებით ასრულებს. 21 კომკავშირელი სამასოვანია, 26—ორასოვანი, 46—სტახანოველი. № 1 ქარხნის კომკავშირელები წარმოებაში ავანგარდულ როლს ვერ ვენებენ. 60 კომკავშირელი დავალებას 300–400 პროცენტით ანაღდებს.

№ ქარხანაში კომკავშირელი მღარავი ვ. პავლოვი ყოველდღიურ ნორმებს ოთხმაგად ასრულებს და ამასთანავე ხელობას ასწავლის ორ მოწაფეს. ქარხანაში ჩამოყალიბებული საფრონტო კომკავშირული ბრიგადები, რომელთა დევიზია ფრონტულად მუშაობა, 250–295 პროცენტით ანაღდებენ დავალებებს.

ფართოდ არის გაშლილი ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. ლენინის რაიონის საწარმო-დაწესებულებებში 321 კომკავშირელი აგიტატორი ეწევა ბოლშევიკურ აგიტაციას. ისინი ახალგაზრდობას განუმარტავენ სამამულო ომის ვითარებაში მათს წინაშე მდგომ ამოცანებს, პრაქტიკული საქმეებით ეხმარებიან ამ ამოცანების გადაწყვეტაში, რაზმავენ საწარმოო დავალებათა განაღდებისათვის.

ორჯონიკიძის რაიონში 300-ზე მეტი კომკავშირელი აგიტატორი ეწევა აგიტაციას ახალგაზრდობასა და მოსახლეობაში. კარგად დაყენებული საგიტაციო მუშაობა დაეხმარა რაიონის კომკავშირულ ორგანიზაციებს, რომლებმაც 150.000 მანეთზე მეტი შეაგროვეს წითელი არმიისათვის თბილი ნივთების შესაძენად.

კომკავშირული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ახალგაზრდობაში სამხედრო საქმის პროპაგანდას. სამამულო ომის დღეებში მომზადდნენ ათასობით მსროლელები, მეტყვიამფრქვევეები, მეავტომატეები, გრანატმტყორცნელები, მედიცინის დები, ხელჩართული ბრძოლის ოსტატები.

კომკავშირული ორგანიზაციები იზრდებიან მოწინავე ახალგაზრდობის ხარჯზე. ეს ზრდა განსაკუთრებით თვალსაჩინოა სამამულო ომის დღეებში.

მიუხედავად ამ მიღწევებისა, თბილისის რაიონების კომკავშირულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ აქვთ სერიოზული ნაკლოვანებანი, რომელთა გამოსწორებისათვის უფრო იბრძოლონ კომკავშირის რაიკომებმა და პირველადმა ორგანიზაციებმა. ზოგიერთი კომკავშირული ორგანიზაცია ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ებრძვის წარმოებაში ავანგარდული როლისათვის. № ქარხნის ფილიალში 56 კომკავშირელიდან გეგმას ვერ ასრულებს 23 კაცი. კომკავშირის კომიტეტს (მდივანი ნუდელმანი) ერთხელაც არ განუხილავს საკითხი წარმოებაში ახალგაზრდობის როლის შესახებ. მე-7 სამკერვალო ფაბრიკის ზოგიერთი კომკავშირელი თვიდან-თვემდე გეგმებს ვერ ასრულებს.

ზოგიერთი კომკავშირული ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კომკავშირის რიგების ზრდას. თბილისის სტომატოლოგიური ინსტიტუტის (სტალინის რაიონი) კომკავშირულ ორგანიზაციას ორი წლის მანძილზე არც ერთი კაცი არ მიუღია კომკავშირში. ნაკლებ ყურადღებას უთმობენ კომკავშირში. ნაგების ზრდას მე-3 მუსიკალური სასწავლებლის, მე-6 სამკერვალო ფაბრიკის, 97-ე საშუალო სკოლის (კიროვის რაიონი) კომკავშირული ორგანიზაციები.

ზოგიერთ კომკავშირულ ორგანიზაციაში სუსტად დგას პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. ცუდად მუშაობენ კომკავშირელი აგიტატორები. პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები არ ეხმარებიან მათ მუშაობაში. ავტომატური სატელეფონო სადგურის კომკავშირის ორგანიზაციას ერთხელაც არ განუხილავს კომკავშირელ აგიტატორთა მუშაობის საკითხი. ასევე სუსტად დგას საგიტაციო-მასობრივი მუშაობა მე-4 სახელოსნო და სამხატვრო სასწავლებლებში, აგრეთვე ჰიგიენის სახლში.

სამამულო ომის დღეებში კომკავშირის მუშაობის აქტუალური საკითხები განიხილეს თბილისის რაიონების კომკავშირული ორგანიზაციების ამ რამდენიმე დღის წინათ ჩატარებულ რაიონულ კონფერენციებზე.

თბილისის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომლებმაც სამამულო ომის დღეებში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს ფრონტის დასახმარებლად, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით მომავალში კიდევ უფრო უნდა გაუთვალისწინონ თავიანთი საქმიანობა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, კიდევ უფრო მჭიდროდ უნდა დარაზმონ კომკავშირელები და კავშირგარეშე ახალგაზრდობა საწარმოო დავალებათა შესასრულებლად, ფრონტისადმი დასახმარებლად, დიდი ბელადის — ამხანაგ სტალინის მიერ დასახულ საბრძოლო ამოცანათა განსახორციელებლად.

## საქ. კ. პ. (ბ) სილნაღის რაიონული კონფერენცია

**სილნაღი** („კომუნისტის“ საკ. კორ.). 11 იანვარს ჩატარდა სილნაღის მეთერთმეტე რაიონული პარტიული კონფერენცია. კონფერენციამ ს